

ქეთევან ნადარეიშვილი, მარიამ კალაძე

Ketevan Nadareishvili, Mariam Kaladze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

“A Man Was Going down the Road” by Otar Chiladze –
Literature of Small Country on Annexation

ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ –
პატარა ქვეყნების ლიტერატურა ანექსიის შესახებ

The classical receptions presented in national literatures appear to be one of the most vivid expressions of the complex interrelationship that exists between world and local literatures.

The paper studies the interpretation of the Argonauts myth by O. Chiladze in order to show how the writer using mythological allusions reflects on the challenges of the modern world, namely, on annexation of small countries by empires. The arrival of Phryxus and the Argonauts' campaign to Colchis is nothing else for the writer but the plan of the Cretan emperor Minos to conquer Colchis being drawn in a manner that evokes direct parallels with the classical intervention schemes.

Key Words: Annexation, Classical Allusions, Argonauts' myth, National identity

საკვანძო სიტყვები: ანექსია, კლასიკური რეცეპციები, არგონავტთა მითოსი, ეროვნული იდენტობა

ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურაში წარმოდგენილი ანტიკურობის რეცეპციები ერთ-ერთი ყველაზე ნათელი გამომხატველია იმ კომპლექსური ურთიერთმიმართების, რომელიც მსოფლიო ლიტერატურასა და ნაციონალურ მწერლობას შორის არსებობს. კლასიკური მემკვიდრეობის სხვადასხვა სფერო – იქნება ეს მითები, ლიტერატურული სიუჟეტები თუ მხატვრული სახეები საუკეთესო მატრიცებად გვევლინება უნივერსალური პრობლემების გასააზრებლად, მათ შორის ინტერვენციის, ანექსიის მარადიულ პრობლემატიკაზე დაფიქრებისთვის.

არგონავტების მითოსი მრავალმხრივ მნიშვნელოვანი და ამასთანავე ამბივალენტური დისკურსი გახლავთ ქართული კულტურული ცნობიერებისთვის. ის, ერთი მხრივ, წარმოგვიდგება უძველესი ქართული კულტურის სიდიადის სიმბოლურ გამოხატულებად, მეორე მხრივ, ოქროს საწმისის გატაცება ასოცირდება/ოდა ტრავმატულ მოვლენებთან, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვასთან.

არგონავტების მითოსის რეციპირების მეშვეობით ინტერვენცია-ანექსიის დისკურსის შესწავლისთვის ქართულ ლიტერატურაში, და არამარტო ქართულში, ერთ-ერთ ყველაზე საყურადღებო ნაწარმოებს უდავოდ გამოჩენილი ქართველი მწერლის ოთარ ჭილაძის რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ წარმოადგენს. რომანი პირველად ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა (1972, № 11-12, 1973, № 1-3), 1973 წელს კი წიგნად გამოვიდა და მაშინვე მიიპყრო მკითხველთა და კრიტიკოსთა ყურადღება. მეტიც, როგორც რ. თვარაძე აღნიშნავს, რომანმა „გვარიანი თავსატეხი“ გაუჩინა მკითხველს, უპირველესად იმიტომ, რომ ნაწარმოების რაობა აღმოჩნდა მოულოდნელი (თვარაძე, 1973, გვ. 27). მართლაც, რომანის რაობის ანუ მისი ჟანრის თაობაზე განსხვავებული მოსაზრებები გამოითქვა როგორც მისი გამოქვეყნების დროს, ასევე შემდგომაც. თუმცა ეს დისკურსი ჩვენი სტატიის

მთავარი თემა არ გახლავთ, ეს საკითხი მნიშვნელოვანწილად უკავშირდება ინტერვენცია-ანექსიის ოთარ ჭილაძისეულ ხედვას, ამიტომ საჭიროდ მივიჩნიეთ გარკვეულწილად მასაც შევხებოდით. არის რომანი ანტი-მითოსი თუ პირიქით, ახალი მითოსი, ანტიკური მითოსის ინტერპრეტაცია; იქნებ მწერალი ჟანრობრივად სინთეზურ ნაწარმოებს გვთავაზობს, ნაწარმოებს, რომელშიც რეალისტური და არარეალისტური, მირაჟი და სინამდვილე თანაარსებობს? როგორია ეს არარეალისტური პლანი – ზღაპრისეული თუ მითოსური და ა.შ. ა. ბესტავაშვილი რომანს ანტი-მითოლოგიად მიიჩნევს, ერთგვარ ვარჯიშად მითის ქმნალობაში, ამასთანავე მსუყედ დახუნძლულს ქართული ფოლკლორული ელემენტებით (Беставашвили, 1973, სტ. 269-270). ჭილაძის ნაწარმოების დემითოლოგიზაციის ტენდენციაზე წერდა გ. მერკვილაძე, რომლის მიხედვითაც, რომანში ეს პროცესი ხორციელდება, ერთი მხრივ, კონკრეტული ეროვნული სინამდვილის გამაფრებელი აღქმით, და, მეორე მხრივ, მითოლოგიურ გმირთა თუ პასაჟთა პაროდირებით (მერკვილაძე, 1977, გვ. 66). მწერალი არ ცდილობს თქმულების რესტავრაციას. ჭილაძე, კრიტიკოსთა აზრით, ქმნის ჟანრობრივად სინთეზურ ე.წ. მითოლოგიური პლანის პროზაულ ეპოსს. ცნობილი მითი ექცევა სიუჟეტში ჩასმული რეალური ამბის ხატოვან-ალეგორიული გახსნის კიდეც ერთ რეალისტურ საშუალებად (მერკვილაძე, 1977, გვ. 63). მეორე მოსაზრების მიხედვით, „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ ცნობილი მითოსის ახალ ვარიანტს წარმოგვიდგენს. რომანის პირველ ნაწილში, რომელიც უფრო ხატოვანია, მწერალი უმეტესწილად ანტიკური მითოსის თავიდან დაწერას გვთავაზობს (Нуйкин, 1980, სტ. 47-48)¹. პოსტსაბჭოთა პერიოდში, როგორც ჩანს, მძლავრობს ტენდენცია, ჭილაძის ეს რომანი რომან-მითად იქნეს გააზრებული. რუსი კრიტიკოსი ლ. ანინსკი 70-80-იანი წლების ჭილაძის რომანებს რომან-მითებად განიხილავს. მიმდინარე რეალობაზე სიმბოლურად გადმოპირქვავებული ეს რომან-მითები კი მას XX საუკუნის ბოლო პერიოდის ქართული პროზის მთავარ წარმატებად მიაჩნია (Аннинский, 2000, სტ. 5). რ. ცანავას აზრით, ოთარ ჭილაძე, ერთი მხრივ, ამხვრევს არგონავტების მითის ჩვენთვის ცნობილ ვერსიას და, მეორე მხრივ, ქმნის სრულიად ახალ მითს ტრადიციული სიმბოლოებით (ცანავა, 2010, გვ. 132). ნ. რატიანი ო. ჭილაძის ამ რომანს მითო-მანტიად, ანუ მითის ახსნის მცდელობად განიხილავს. მითის მკითხველს სჭირდება ახსნა, არგონავტების მითის მკითხველსაც სჭირდება ახსნა, რასაც აკეთებს კიდეც ოთარ ჭილაძე. ამასთან თუ არგონავტების მითი ბერძენი მწერლების მიერ ბერძნული პერსპექტივიდანაა დანახული, ო. ჭილაძე ამას კოლხური პერსპექტივიდან აკეთებს, რათა კითხველს პასუხები გაეცეს (რატიანი, 2010, გვ. 77-78).

და მაინც, როგორადაც არ უნდა განვსაზღვროთ ჟანრობრივად ამ რომანის რაობა, მაინც რჩება ერთი არსებითი კითხვა – რა იყო მწერლის მიზანი, როცა XX ს-ის 70-იან წლებში საბჭოთა იმპერიის დროს მითოსური ალუზიების (თუ მითოლოგიური რეალიზმის) გამოყენებით იგი საქართველოს, კოლხეთის უძველესი ისტორიის ერთ-ერთ ფურცელზე წერდა. ჭილაძის ახალი მითოსი ეხმიანებოდა ძვ.წ. II ათასწლეულში (არგონავტების მითის შექმნის პერიოდი) მიმდინარე პროცესებს ხმელთაშუა ზღვისა და შავი ზღვის რეგიონში, წერს რ. ცანავა. კერძოდ, ხმელთაშუა ზღვაში იმ პერიოდში ყველაზე მძლავრი სახელმწიფოს (იმპერიის) კრეტის ამბიციებს დაუფლებოდა შავ ზღვას, რაც შეუძლებელი იყო კოლხეთის დაპყრობის გარეშე. კრეტის იმპერიის მიერ კოლხეთის ანექსიის ჭილაძისეული პარადიგმა, ცანავას მართებული შენიშვნით, ანექსიის ზოგადი სქემაა. „გულსაკლავი კი ის არის, რომ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რომელი დამპყრობლის სახეს ამოვიცნობთ მინოსში. ის, ზოგადად, დამპყრობელია – ცბიერი და სასტიკი: საქართველო კი მოტყუებული და დაპყრობილი. ეს არის მწარე რეალობა მითის საბურველში გახვეული და მითის სიმბოლოებით ამეტყველებული“. განსაკუთრებით კი მწარეა ის სიტყვები, რომლითაც ასრულებს თავის ამ მოსაზრებას მკვლევარი: „სამწუხარო კი ის არის, რომ ოთარ ჭილაძის მთავარ გზავნილს დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა“ (ცანავა, 2010, გვ. 135-136).

¹ ბესტავაშვილისა და ნუიკინის მოსაზრებები მოგვყავს Childs, 2012, p. 378-ის მიხედვით.

ამერიკელი მკვლევარი მ. ჩაილდსი თვლის, რომ კრეტელი ბერძნები, კოლხეთის მტრები ოთარ ჭილაძეს თანამედროვე რუსებად ჰყავს გააზრებული. ქართული პერსპექტივიდან გამომდინარე მწერალი მნიშვნელოვნად გარდაქმნის მთავარ ბერძენ მითოსურ პერსონაჟებს, განსაზღვრავს თავისი სამშობლოსთვის კულტურულ სივრცეს, რომელიც ცალკე დგას კრეტის ანუ რუსეთის იდენტობისგან (Childs, 2012, p. 370). თარგმნიდა რა ჭილაძის ამ რომანს ინგლისურად, მ. ჩაილდს ახლო ურთიერთობა ჰქონდა მწერალთან. როგორც მკვლევარი წერს, სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვული ოთარ ჭილაძე მასთან ინტერვიუში აცხადებდა, რომ კრეტელი ბერძნები, რომლებმაც დაიპყრეს კოლხეთი, უნდა იყვნენ გაიგივებულნი რუსებთან და რომ რომანი არის კონკრეტულად რუსეთის აგრესიის შესახებ საქართველოს წინააღმდეგ (Childs, 2012, p. 371, პირადი ინტერვიუ ო. ჭილაძესთან 24.09.2009).

ოთარ ჭილაძის ამ რომანში გადმოცემული აიეტის სამეფოს – კოლხეთის ანექსია ნამდვილად წარმოადგენს ანექსიის კლასიკურ პარადიგმას, რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი, თუმცა ის ამასთან კონკრეტული ანექსიის მოთხრობაა, რომელშიც მწერალი რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას გულისხმობს. ამას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამბობდა თავად ავტორი და ამასი მდგომარეობს მწერლის გზავნილის დღევანდელი აქტუალობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თანამედროვე კონტექსტიდან გამომდინარე.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ რომანის ტექსტური ქსოვილის სირთულე და მისი მრავალშრიანობა.¹ რამდენიმე მომენტზე შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებას. ოთარ ჭილაძე არ ისახავდა მიზნად თქმულების რესტავრაციას, შესაბამისად, მან უარი თქვა გამოყენებინა არგონავტების მითოსის ტრადიციული ფოლკლორული ელემენტები – ნაწარმოებში არ ჩნდება კიპრისის ისარი – მედეას სიყვარულის მიზეზი, არ არიან აქ არც ცეცხლისმფრქვეველი ხარები, დრაკონის კბილებიდან აღმოცენებული მეომრები თუ საწმისის მცველი გველეშაპი. არგონავტების ლაშქრობა წარმოდგენილია როგორც ნამდვილი ამბავი. ელინისტური ეპოქის ბერძნებსაც ხომ სჯეროდათ, რომ მათი წინაპრები უძველეს დროში მართლაც მივიდნენ შავი ზღვის სანაპიროებთან.

თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჭილაძესთან რეალური და ირეალური პასაჟები ერთმანეთის გვერდით არსებობენ. მეორე რეალობა თუ ირეალობა მითოლოგიური რეალობაა თავისი ზედროულობით, ისტორიული დროის, დასაწყისისა და დასასრულის არარსებობით, ყველაფრის წრეში ბრუნვით. ცოცხალი და მკვდარი ისე ორგანულად მონაცვლეობენ ამ ყოფაში, რომ არსებობდა მათ შორის მცირე სხვაობა (Аннинский, 2000, ст. 8). ყველა ეს ასპექტი მითოსური, არარეალური სამყაროსთვისაა ნიშანდობლივი.

ამას სხვა ორაზროვნებაც მოჰყვება, მწერალი წარმოგვიდგენს უაღრესად საინტერესო ნაზავს ქართული ფოლკლორული და ლიტერატურული ტრადიციისა კლასიკურ მემკვიდრეობასთან. ვანის მაცხოვრებლები, ერთი მხრივ, ზენაციონალური, მითოსური ადამიანები არიან თავიანთი ცხოვრების წრიულობითა და ფასეულობებით, მეორე მხრივ, მათში აუცილებლად ამოვიცნობთ კოლხი ხალხის ჩვევებს, ცხოვრების წესს. ღვინის გამყიდველი ბაზა ღვინის ღმერთთან – ბაკქუსთან ბადებს ასოციაციას, ნავის ქიმზე შემდგარი ბედია პოსეიდონს მოგვაგონებს. აკვნის ოსტატი ბოჩია და მისი ცოლი ფოთოლა მარადიული ცოლ-ქმარია, რომელთა შთამომავლობა განუწყვეტილად მრავლდება, იხოცება, ბოჩია კი უცვლელი რჩება. ბოჩიას ანალოგიას უძებნიან, ერთი მხრივ, ტირესიასთან, მეორე მხრივ, ბოჩია-ფოთოლას წყვილს ქართული ხალხური ზღაპრის ბედნიერ ცოლ-ქმართან აკავშირებენ (ცანავა, 2010, გვ. 140). ეს არის გულგაუტეხელი ადამიანების სამყარო, რომლებიც ურთიერთობის სიხარულით ცხოვრობენ, სამყარო, სადაც კარი არ იკეტება, ნათლი-დედები უსაქმოდ ლაყბობენ, მეზობლები ენისჭარტალით არიან დაკავებული. ვანელები კეთილგობიერ არიან და მზაკვრებიც, შენიშნავს ანინსკი, ისევე, როგორც ყველა ჯურის ადამიანები, ერთით

¹ მანანა კვაჭანტირაძე, ოთარ ჭილაძის შემოქმედების ერთ-ერთი უპირველესი მკვლევარი რომანს სტრუქტურალისტურ ჭრილში განიხილავს იყენებს რა სემიოლოგიურ თეორიებს (კვაჭანტირაძე, 1999).

განსხვავდებიან მხოლოდ – აქვთ იუმორის განსაკუთრებული გრძობა, მზად არიან გაამასხარაონ ყველაფერი, მათ შორის საკუთარი თავები (Аннинский, 2000, ст. 8).

რომანის მიხედვით, ვანში ორი გამორჩეული ადგილია. ერთია ოქრომჭედელთა უბანი, სადაც საოცარ სამკაულებსა და ოქროს ნივთებს ამზადებენ. ოქროთი მდიდარი ეს ადგილი აშკარად იწვევს ასოციაციას „ოქრომრავალ კოლხეთთან“, იმ ეპითეტთან, რომლითაც ბერძენი მწერლები კოლხეთს ახასიათებდნენ. მეორე საოცრება კიდევ დარიაჩანგის ბაღია, ბაღი, რომელიც მარადიული ნაყოფიერების სურნელს აფრქვევს, ბაღი, რომელშიც სურვილები სრულდებოდა. „ვანელები ამბობდნენ, ვინც დარიაჩანგის ბაღში თავისი ხელით მოწყვეტილ ვაშლს შეჭამს, ოქროსთმიანი ვაჟი გაუჩნდება... თუმცა, კივიც არ უნდა შეეტება, თორემ ამოდენა ბაღი თვალის დახამხამებაში გაქრებოდა“ (ჭილაძე, 1973, გვ. 9). აქაც ასოციაციები ბიბლიურ ედემის ბაღთან ჩნდება.

ამ ბედნიერ და ზღაპრულ სამყაროში პირველი უცხოელი შემოადგამს ფეხს და ზმანებანი თანდათან იწყებს გაქრობას. ავტორს არგონავტების მითოსიდან პირველი პერსონაჟი – ფრიქსე შემოჰყავს. მეთევზე ბედია ზღვის ნაპირზე ცოცხალმკვდარ ბიჭსა და ვერძს იპოვის და თავის ნავში ამოატრევს. ფრიქსეს გამოჩენაში თითქოს არაფერია ზებუნებრივი. ვერძიც ჩვეულებრივი ვერძია, ერთადერთი ძალიან დიდია, მისი ბეწვიც სხვა ვერძთა ბეწვის მსგავსია – ოღონდ როცა ვანელები მას ოქრომჭედელთა უბანში გაატარებენ, მის ბეწვს ოქროს მტვერი მიეკრობა და სამუდამოდ მასზე დარჩება. ყველაფერი ისეა წარმოდგენილი, როგორც რეალობაში შეიძლება მომხდარიყო, თუმცა ერთი არარეალური მომენტი მაინც ჩნდება. როდესაც ფრიქსეს ჰკითხეს, თუ როგორ მოხვდა ვანში, იგი ყვება მითოლოგიიდან ჩვენთვის კარგად ცნობილ ლეგენდას ფრიქსესა და ჰელეს შესახებ, მაგრამ ამ ლეგენდის მიხედვით ხომ და-მმა მფრინავმა ვერძმა გადმოაფრინა საბერძნეთიდან. გამოდის, რომ ეს თითქოსდა ჩვეულებრივი ცხვარი მფრინავი ყოფილა. ამის მიუხედავად ფრიქსეს მონაყოლისთვის კრიტიკულად არავის შეუხედავს.¹ შემდეგ რომანის სიუჟეტი მისდევს მითოსს – აიეტის ბიჭს სასახლეში მიიღებს, ის წამოიზრდება, დავაჰკაცდება, აიეტის სიძე ხდება, ოთხ ვაჟი-შვილს აჩენს და კვდება. ვანელები მას ვერძს შესწირავენ, ვერძის ტყავს კი მეფე განჯინაში დაკიდებს და მას თავის ტახტს მიადგამს. გადის ხანი, ვანში კიდევ ერთი უცხოელი ჩამოდის და გარე სამყაროდან ამ მეორე შეხების შემდეგ ვანის მაცხოვრებელთა ყოფა სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდება.

ის მეორე უცხოელი უკვე არგონავტებთან ერთად მოსული იასონია, რომელმაც გემი არა ნავსადგურში, არამედ წყალუბვი მდინარის ლერწმონებში დააყენა. მითის მსგავსად რომანშიც აიეტს მათი ჩამოსვლა ფრიქსეს ვაჟიშვილებმა ამცნეს.² შვილიშვილებმა აუწყეს მეფეს, რომ უცხოელები ვერძის ტყავს ითხოვდნენ. მანამდე არსებული ეჭვები აიეტს ამ ამბავმა კიდევ უფრო გაულრმავა. და სწორედ აქ ოთარ ჭილაძე განზე დებს არგონავტების მითს და რომანის ფაბულაში „ნამდვილ“ ამბავს რთავს. ფრიქსეს და იასონის ჩამოსვლა სხვა არაფერია თუ არა „ყველაზე დიდი მეფის“ – მინოსის გეგმა კოლხეთის დაპყრობისა. ფრიქსეს გამოგზავნა გემის მხოლოდ პირველი ნაწილია. მისი მისია კოლხეთში ბუდეს და საფლავის გაჩენა იყო.³ გემის მეორე ნაწილი იასონის მისია გახლდათ, რომელსაც ვერძის ტყავის – საწმისის წამოღება ევალებოდა. თუმცა ჭილაძის მიხედვით, იასონის ნამდვილი მისია არა კოლხეთიდან ტყავის წამოღება, არამედ აქ კოლხთა ხელით სიკვდილი იყო. მინოსი დარწმუნებული იყო, რომ აიეტი ოთხად გაგლეჯდა საწმისის მოთხოვნით

¹ გამონაკლისია მხოლოდ ბახას სარდაფში შეზარხოშებული ყასბის ნათქვამი, რომ ცხვრის სხვადასხვა სახეობის კარგად მცოდნეს ამ ცხოველში ფრთების არსებობა არასდროს შეუნიშნავს.

² ცოტა ხნით ადრე ისინი სასახლიდან სამშობლოში – საბერძნეთში წასასვლელად გაპარულიყვნენ, მაგრამ გზაზე ხომალდი დამსხვრეოდათ და შეხვედრილ არგონავტებს გადაერჩინათ.

³ ფრიქსე არავითარი ბეოტიელი მეფის შვილი არ ყოფილა. გოგრის გამყიდველის ბიჭი მინოსმა დაიბევა და კოლხეთში გადასახლების სანაცვლოდ მისი უკიდურესად გაჭირვებული ოჯახის პატრონობა იკისრა. მხოლოდ იასონის ჩამოსვლის შემდეგ მიხვდა აიეტი, რომ ფრიქსე მტრის ბანაკიდან დაძრული პირველი ტალღა იყო. „მისი ვაჟები კი – მეორე, მეორეს მესამე მოჰყვა მომღიმარი უცხოელის სახით“ (ჭილაძე, 1973, გვ. 173).

ჩასულ „თავქარიან ყმაწვილს“. მხოლოდ იასონის სიკვდილის შემდეგ შეძლებდა მინოსი აღსრულებინა გეგმის ფინალური ნაწილი – კოლხეთის დაპყრობა ბერძენთა ჯარის წარგზავნით. საბაზი იასონის მკვლელობაზე შურისძიება იქნებოდა. მაგრამ როგორც მითში, აქაც მედეა ჩნდება, მედეა, რომლის არსებობა „ყველაზე დიდ მეფეს“ გამოორჩა.¹ მედეა დაეხმარება იასონს საწმისის მოპოვებაში, ოღონდ ამისთვის იასონს არავითარი გმირობის ჩადენა არ სჭირდება (ზემოთ უკვე აღვნიშნეთ ცეცხლისმფრქვეველი ხარებისა და სხვა ფოლკლორული ელემენტების არარსებობის შესახებ). მედეა უბრალოდ ამინებს მამას ხელოვნური ძილით, სასახლეში შეპარულ ქალადგადცემულ იასონს კი განჯინიდან საწმისი გამოაქვს. მედეას საქციელმა ჩაშალა ანექსიის კლასიკური მოდელი – მინოსს აღარ აქვს შურისძიების მიზეზი. მაგრამ „ყველაზე დიდი მეფე“ ახერხებს საჩუბარი მიზეზის გამოწვევას – აქაოდა როგორ გაბედეს კოლხებმა, რომ მის წარგზავნილს ცხვრის ტყავი და ქალი დაუკავეს და იძულებული გახადეს მოეტაცა იგი. და იგი გზავნის ჯარს კოლხეთისკენ მათ სამაგალითოდ დასასჯელად. მათ წინ აიეტის ბიძაშვილის შვილი ოყაჯადო მოუძღვით, იმ ბიძაშვილის, რომელიც აიეტმა უხეირო მეფობის გამო ტახტიდან ჩამოაგდო და რომელიც თავის მომხრეებთან ერთად გაიქცა კრეტაზე, რათა თავის დროს დალოდებოდა. ის ვერ მოესწრება ამ ლაშქრობას, მაგრამ მისი შვილი ბერძნებთან ერთად აიეტის ჩამოგდებას და კოლხეთის დაპყრობას მოახერხებს. ოყაჯადოს ფენომენი კიდევ ერთი დამატებითი საბაზია მინოსისთვის კოლხეთის დასალაშქრად. ამასთანავე ის კლასიკური ინტერვენციის სქემის კიდევ ერთ შემადგენლად შეიძლება განვიხილოთ.

შეიძლება ითქვას, რომ მინოსმა ინტერვენციის სრულყოფილი პარადიგმა შეადგინა და განახორციელა კიდევ. მართებულია ანექსიის თაობაზე ანინსკის მიერ მოყვანილი პარალელები უახლესი ისტორიიდან: გერმანულ იმპერიას ჭირდება ფოლკსდოიჩები ევროპის ყველა მხარეში, რუსულ იმპერიას ამავე ადგილებში ჭირდება რუსი ახალმოსახლეები. ნახევარი საუკუნის წინ კოსოვოს მხარეში გაჩენილი „ბუდეები და საფლავები“ აძლევს საბაზს კიდევ ერთ მინოსს დაბობოს სერბები... (Аннинский, 2000, ст. 10). როგორც ჩანს, ინტერვენციის სქემა მრავალი საუკუნის წინ ისეთივეა, როგორც დღეს. ესეც გარკვეულწილად ისტორიის განმეორებადობის ნიშანია.

ის, თუ რა შედეგები მოჰყვება ქვეყნის ანექსიას, ამას წიგნის შემდეგი ორი ნაწილი მოგვითხრობს. უკვალოდ ქრება ამქვეყნიური ედემის სიმბოლო – დარიაჩანგის ბაღი, ჭაობი ფარავს ოდესღაც ზღვისპირა ქალაქს. აკვნის ოსტატ ბოჩიას „სიცივის, სიმარტოვის, სიბერწის“ განსახიერება გრძნეული კამა ჩაენაცვლება, რომლის ერთი თვალისშეგლებაც საკმარისია ყველაფრის გასახმობად (მერკვილაძე, 1977, გვ. 67). დაბოლოს, დარიაჩანგის ბაღის მზის ნათელს ოყაჯადოს სასახლის ცივი, ჩრდილოური სინათლე ცვლის. თუმცა ავისმომასწავებელი ნიშნები ჯერ კიდევ რომანის I ნაწილში ჩნდება ვანელების თვითკმარი სამყაროს ფონზე როგორც კი პირველი უცხოელი ფეხს შემოადგამს. ვანის ჰარმონიულ ყოფაში პირველ უწესრიგობა-აურზაურს მფრინავი ვერძის გამოჩენა გამოიწვევს, რის შედეგადაც მთელი ქალაქი ცხვარზე ამხედრებული ბავშვებით გაივსება, რომელთაც გაფრენა სწყურიათ.² და როცა ეს უბედურება აღარ დამთავრდა, მამამ შვილს ხელი შემოჰკრა, შემდეგ მოედანზე გამოვიდა და ყველას დაანახა გამხმარი მარჯვენა. ეს პირველი ნიშანი იყო ვანელების ჰარმონიული ყოფის რღვევისა, ნიშანი, რომელიც ყველამ დაინახა. მაგრამ იყო მეორე, კიდევ უფრო სერიოზული გაფრთხილება, რომელიც მხოლოდ მეთევზე ბედიამ შეამჩნია. ფრიქსეს ჩამოსვლისთანავე მანძილი ზღვასა და ნავების სადგომს შორის დაგრძელდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ზღვამ უკან დაიხია. ბედიამ ეს მანძილი თოკით გადაზომა და თოკი კისერზე ჩამოიკვია, რათა საჭირობის შემთხვევაში მანძილი ისევ გაეზომა. მაგრამ ვანისდა საბედის-

¹ მედეას სახის ჭილაძისეული ინტერპრეტაცია ცალკე შესწავლის საგანია და, ბუნებრივია, ამ საკითხს აქ ვერ შევხებით. არგონავტების მითის ქართულ კულტურაში ინტერპრეტაციის კონტექსტში ჭილაძისეული მედეას სახე ჩვენ განხილული გვაქვს რამდენიმე წერილში, მათ შორის Nadareishvili, 2007.

² ქალაქი ნაომარ ქალაქს დაემსგავსა, წერს ავტორი, ღობე-ყორები მოირღვა, ბავშვები ერთიანად დაიჩქქვენ, ღამით კომპარები ესიზმრებოდათ. მშობლებმა შვილები დააბეს, მაგრამ ისინი კბილებით ღრღინდნენ თოკებს და გარბოდნენ (ჭილაძე, 1973, გვ. 22-23).

წეროდ, მას არავინ უჯერებდა, მხოლოდ დაცინვა მიიღო კისერზე თოკის გამუდმებული ტარების გამო. დასცინოდნენ, რადგან ვერავინ გრძნობდა მომავალ უბედურებას, რომელსაც ზღვის უკან დახევა მოასწავებდა. ზღვა კი აგრძელებდა უკან დახევას... მართლაც, საოცარი სიმბოლოა. ზოგი მასში ტერიტორიების მომავალ დაკარგვას ხედავს (Childs, 2000, p. 404). ასევე შეიძლება ერის მთლიანობის, მისი ბაზისური ეროვნული ღირებულებების განადგურება დავინახოთ, რომელსაც ჯერჯერობით ვერავინ ამჩნევდა, შეიძლება კიდევ უფრო მძაფრი რამაც.

იასონის ჩამოსვლის შემდეგ ფიქრის ჭაში ჩადირული აიეტი არა მარტო განჭვრეტს მომავალ კატასტროფას, არამედ ეძებს ამის მიზეზებს ქართულ ცნობიერებასა და ღირებულებებში, გამწარებული ეძიებს თავის შეცდომებს, შეცდომებს ქვეყნის მესაჭისა. მავედრებლის შეფარება, სტუმარმასპინძლობის ტრადიციების დაცვა ხომ არ იყო მისი შეცდომა, ფიქრობს იგი, ხიზანს, ლტოლვილს ხომ ჩვევად აქვს გულკეთილობისა და ნდობის ბოროტად გადახდა (ჭილაძე, 1973, გვ. 175). თუმცა მას სხვანაირად არ შეეძლო, ყველაფერზე წინ მუდამ უმაღლეს ღირებულებებს რადგან აყენებდა. იქნებ თავიდათავი კაცთმოყვარეობაზე მისი გაუთავებელი ქადაგება იყო. ასეთი „იქნებ“ კიდევ არაერთია. ფაქტია, აიეტი მარცხდება და რაც ყველაზე მტკივნეულია ამ მარცხს მისიანების ღალატით განაპირობებს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ არაერთი ეროვნული და ზენაციონალური დისკურსის მიუხედავად, რომლებსაც ო. ჭილაძე ამ რომანში წარმოგვიდგენს, მთავარი ნარატიული ხაზი საქართველოს ანექსიის გეგმის ეტაპობრივი განხორციელება და იმ დამლუპველი შედეგების წარმოდგენაა, რომლებიც ანექსიას ერისა და მისი ღირებულებებისთვის მოაქვს. ეს რომანი ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი გახლავთ იმისა, თუ როგორ მოახერხა უმკაცრესი საბჭოთა ცენზურის პირობებში ოთარ ჭილაძემ წარმოედგინა, ერთი მხრივ, ეროვნულ ცნობიერებაზე ანექსიის შედეგები, ხოლო, მეორე მხრივ, დაეხატა ის გაკვეთილები, რომლებიც დაპყრობილი ნაციისთვის უკეთესი მომავლის მისაღწევად იყო სასწავლო.

ბიბლიოგრაფია:

- თვარაძე, რ. (1973). მარადიული გზა ცხოვრებისა, კრიტიკა, 5, 25-47, თბილისი: „მერანი“.
- კვაჭანტირაძე, მ. (1999). ოთარ ჭილაძის მხატვრული სისტემის სემიოლოგიური ასპექტები, თბილისი. მერკვილაძე, გ. (1977). თანამედროვე რომანის მოძრაობა, კრიტიკა, 2, 54-76, თბილისი: „მერანი“.
- რატიანი, ნ. (2010). მითომანტია ოთარ ჭილაძის რომანში „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, კრიტიკა, 5, 77-85, თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, ISSN 1987-7102
- ცანავა, რ. (2010). მითით, ზღაპრით და რეალობით მოქარგული ტილო (ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“), კრიტიკა, 5, 131-141, თბილისი: „ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა“, ISSN 1987-7102.
- ჭილაძე, ო. (1973). გზაზე ერთი კაცი მიდიოდა, თბილისი: მერანი.
- Nadareishvili, K. (2007). Medea in the Context of Modern Georgian Culture, Phasis. Greek and Roman Studies, 10(2), 222-229.
- Аннинский, Л. (2000). Дорога и Обрыв, предисловие к книге О. Чиладзе “Шел по Дороге Человек”, пер. с груз. Э. Ананишвили, 5-18, СПб.: Азбука. ISBN 5-267-00331-X
- Беставашвили, А. (1973) Таким будет мир. Отар Чиладзе «Шел человек по дороге», Дружба народов, 12, 269-272.
- Нуйкин, А. (1980). *Взлеты и просчеты*, Литературное обозрение, 2, 45-51.

References:

- Anninskii, L. (2000). Doroga I Obriv, [The Road and the Precipice], Predislovie K Knige O. Chiladze "Shel po Doroge Chelovek" ("A Man Walked Down the Road"), Per. S Gruz. E. Ananiashvili, 5-18, Sankt Peterburg: Azbuka. ISBN 5-267-00331-X
- Bestavashvili, A. (1973). Takim budet mir, [The World Will Be Like This], Druzhiba narodov, 12, 269-272.
- Chiladze, O. (1973). Gzaze Erti Katsi Miododa, [A Man Was Going down the Road], Tbilisi: Merani.
- Childs, M. (2012). Classical Allusions and Imperial Desire: Problems of identity in Georgian and Russian Literature, PHD Thesis. University of Washington.
- Kvachantiradze, M. (1999). Otari Chiladzis Mkhatvruli Sistemis Semiologiuri Aspektebi, [The Semiological Aspects of the Artistic System of Otari Chiladze], Tbilisi.
- Merkviladze, G. (1973). Tanamedrove Romanis Modzraoba, [The Development of Modern Roman], Kritika, 2, 54-76, Tbilisi: Merani.
- Nadareishvili, K. (2007). Medea in the Context of Modern Georgian Culture, Phasis. Greek and Roman Studies, 10(2), 222-229.
- Nuikin, A. (1980). Vzleti i proshcheta, [Flights and Errors], Literaturnoe obozrenie, 2, 45-51.
- Ratiani, N. (2020). Mitomantia Otari Chiladzis Romanshi "Gzaze Erti Katsi Miododa", [Mythomancy in "A Man Was Going down the Road" by Otari Chiladze], Kritika, 5, 77-85, Tbilisi: „Literaturis Institutis Gamomtsemloba“, ISSN 1987-7102.
- Tsanava, R. (2010). Mitit, Zghaprit Da Realobit Mokarguli Tilo (Otari Chiladzis „Gzaze Erti Katsi Miododa“), [Canvas Embroidered by Myth, Fairytale and Reality ("A Man Was Going down the Road" by Otari Chiladze)], Kritika, 5, 131-141, Tbilisi: Tbilisi: „Literaturis Institutis Gamomtsemloba“, ISSN 1987-7102.
- Tvaradze, R. (1973). Maradiuli Gza Tskhovrebisa, [Eternal Way of Life], Kritika, 5, 25-47, Tbilisi: Merani.